ლენინგრადი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).

8 მაისს ლენინგრადში მორიგ კალენდარულ მატჩში შევხვდით ადგილობრივ “დინამოს”. თამაში პირველ წუთებიდანვე წარიმართა სწრაფ ტემპში. თბილისელებმა შეძლეს ინიციატივის ხელში აღება და პირველ ტაიმში რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან. ღოღობერიძეს, კ. გაგნიძესა და თოდრიას ჰქონდათ გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ან დარტყმა არ იყო ზუსტი, ან მეკარე პესტოვი იღებდა ძნელ ბურთებს. ტაიმის ბოლოს შეტევაზე გადმოვიდნენ ლენინგრადელები და მძიმე სამუშაო დააწვა მარღანიას.

თამაშის მეორე ნახევარი ორმხრივ იერიშებში წარიმართა. ჩვენს თავდამსხმელებს კვლავ ჰქონდათ ანგარიშის გახსნის საშუალება. კარგი მომენტები დაკარგეს აგრეთვე მასპინძლებმა კოლობოვმა და ნიკოლინმა. მატჩი დამთავრდა უშედეგოდ – 0:0.

აღსანიშნავია, რომ მსაჯმა დემჩენკომ მოედანზე ვერ აღკვეთა უხეშობა.

გ. ანთაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.
“ლელო”, 10 მაისი, 1953 წ.